



საქართველოს მთავრობის კანცელარია
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 359

2012 წლის 29 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის კანცელარიის შინაგანაწესის
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიის
უფროსის 2008 წლის 1 ოქტომბრის №298 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად და „საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზოგიერთი უფლება-მოსილების საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ო. გოგობისათვის დელეგირების თაობაზე“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის №1119 ბრძანების საფუძველზე, „საქართველოს მთავრობის კანცელარიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსის 2008 წლის 1 ოქტომბრის №298 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის:

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კანცელარიაში ყოველდღიური სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება 8 საათით – იწყება 9:45 საათზე და სრულდება 18:30 საათზე.“;

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანცელარიის საჯარო მოსამსახურეთათვის სამუშაო დღის განმავლობაში შესვენების დრო განსაზღვრულია 13:00 საათიდან 13:45 საათამდე.“.

2. საქართველოს მთავრობის კანცელარიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საკადრო საკითხთა სამსახურმა (კ. ამირანიძე) უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის კანცელარიის საჯარო მოსამსახურეთათვის ამ ბრძანების გაცნობა და თვალსაჩინო ადგილას განთავსება.

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke extending to the right.

ოთარ გოგობე